თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საბჭოს
2016 წლის 27 აპრილის სხდომის ოქმი №7

სხდომას ესწრებოდნენ: ფაკულტეტის დეკანი თემურ ბერიძე, ფაკულტეტის აკადემიური პერსონალი – 20, სტუდენტები – 1, სულ – 21 წევრი.

დღის წესრიგი:

1. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის კურსდამთავრებულთათვის დიპლომის დანართისთვის სავალდებულო მონაცემების-ხარისხი/კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების რეკვიზიტების დადგენა/აღდგენის შესახებ გადაწყვეტილება.

/დეკანის მოადგილე, მ. ჩავლეიშვილი/

2. თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის 2015-2016 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრის ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამის კურსდამთავრებულისთვის აკადემიური ხარისხის მინიჭების შესახებ

/ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი ე. ხარაიშვილი/

3. ბაკალავრიატის კურსდამთავრებულთათვის მინიჭებული აკადემიური ხარისხების კორექტირების შესახებ.

/ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი ე. ხარაიშვილი/

4. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივრესიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორების თანამდებობრივი სარგოს ოდენობის შესახებ.

/მენეჯერი საფინანსო-ეკონომიკურ საკითხებში ა. მიქაბერიძე/

5. თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის საშტატო განრიგში ცვლილების შეტანის შესახებ.

/მენეჯერი საფინანსო-ეკონომიკურ საკითხებში ა. მიქაბერიძე/

6. მიმდინარე საკითხები

სხდომის თავმჯდომარის, დეკანის თ. ბერიძის არყოფნის გამო თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საბჭოს №7 სხდომის თავმჯდომარედ დასახელდა პროფ. ე. მექვაბიშვილი.

გაიმართა კენჭისყრა

კენჭისყრის შედეგები: მომხრე – 21
წინააღმდეგი – 0

დაადგინეს: დამტკიცდეს თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საბჭოს 2016 წლის 27 აპრილის #7 სხდომის თავმჯდომარედ პროფ. ე. მექვაბიშვილი.

სხდომის დროებითმა თავმჯდომარემ, პროფ. ე. მექვაბიშვილმა კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგის დამტკიცების საკითხი.

გაიმართა კენჭისყრა
კენჭისყრის შედეგები: მომხრე – 21
წინააღმდეგი – 0

დაადგინეს: დამტკიცდეს თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საბჭოს 2016 წლის 27 აპრილის #7 სხდომის დღის წესრიგი.

მოისმინეს: 1996 წელს თსუ ეკონომიკის ფაკულტეტის შრომის ეკონომიკის *(დღე, საღამო, დაუსწრებელი)*, წარმოების ეკონომიკისა და მართვის *(დღე, საღამო)*, მრეწველობის ეკონომიკის *(დაუსწრებელი)*, სოფლის მეურნეობის ეკონომიკის *(დაუსწრებელი)*, პოლიტიკური ეკონომიის *(დღე)*, აღრიცხვა, კონტროლი, აუდიტის *(დღე)*, საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების *(დღე)* და სტატისტიკის *(დღე, საღამო)* სპეციალობების კურსდამთავრებულთათვის **(მ.შ. ლია ბარნაბიშვილი)** და ეკონომიისა და ბიზნესის ფაკულტეტის 2007 და 2009 წლის კურსდამთავრებულთათვის **(სერგო ვაშაკიძე და ალექსი ონაშვილი)** დიპლომის ფორმისთვის განსაზღვრული სავალდებულო მონაცემების - ხარისხის/კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების რეკვიზიტების (ოქმის თარიღისა და ნომრის) დადგენა/აღდგენის შესახებ.

/თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანის მოადგილე მ. ჩავლეიშვილი/

ქალბატონმა მარინა ჩავლეიშვილმა საბჭოს მოახსენა, რომ თსუ-ს დიპლომების შეცვლის თაობაზე განცხადებით მიმართეს ყოფილი ეკონომიკის ფაკულტეტის 1996 წლის

და ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის 2007 და 2009 წლების კურსდამთავრებულმა. კერძოდ,

1. ეკონომიკის ფაკულტეტის მრეწველობის ეკონომიკის სპეციალობის 1996 წლის კურსდამთავრებულ ლია ბარნაბიშვილმა დიპლომის დაკარგვის გამო;
2. ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ბაკალავრიატის სასურსათო პროდუქციის ექსპერტიზის სპეციალობის 2007 წლის კურსდამთავრებულ სერგო ვაშაკიძემ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ დიპლომის ნამდვილობის დადასტურებაზე უარის თქმის გამო;
3. ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ბაკალავრიატის ფინანსები და საბანკო საქმის სპეციალობის 2009 წლის კურსდამთავრებულ ალექსი ონაშვილმა სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ დიპლომის ნამდვილობის დადასტურებაზე უარის თქმის გამო.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ლია ბარნაბიშვილის, სერგო ვაშაკიძისა და ალექსი ონაშვილის სახელზე უნდა გაიცეს ახალი დიპლომები, რომლებიც საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 22 ივნისის №126/ნ ბრძანების თანახმად, ითვალისწინებს ჩარიცხვის ბრძანებისა და აკადემიური ხარისხის/კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების თარიღისა (რიცხვი, თვე, წელი) და ნომრის მითითებას. ამასთან დაკავშირებით, თსუ იურიდიული დეპარტამენტის განმარტებით, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2009 წლის 24 მარტის №162 ბრძანების გამოცემამდე არსებული ნორმატიული აქტებით დამტკიცებული დიპლომის ფორმები არ ითვალისიწინებდა აკადემიური ხარისხის/კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების (ოქმის) თარიღისა და ნომრის მითითების ვალდებულებას. მხოლოდ ზემოაღნიშნული ბრძანების მიღების შემდეგ გახდა სავალდებული აღნიშნული რეკვიზიტის დიპლომის ფორმაში მითითება. აქედან გამომდინარე, ამჟამად მოქმედი დიპლომის ფორმისთვის განსაზღვრული სავალდებულო მონაცემების დადგენის მიზნით, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის 2014 წლის 16 აპრილის №55/01-01 ბრძანების საფუძველზე კონკრეტული საქმის გარემოების გათვალისწინებით საქართველოს კანონმდებლობით დიპლომის ფორმისთვის განსაზღვრული სავალდებულო ზოგიერთი მონაცემის დაუდგენლობისას, დიპლომზე მისათითებელი შესაბამისი ინფორმაციის შექმნაზე უფლებამოსილი ორგანო (ან მისი უფლებამონაცვლე) ვალდებულია „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ შესაბამისად ჩაატაროს ადმინისტრაციული წარმოება და საქმის გარემოებების გამოკვლევის შედეგად მიღებული გადაწყვეტილებით დაადასტუროს ან/და შექმნას შესაბამისი ინფორმაცია.

დიპლომის ფორმისთვის განსაზღვრული სავალდებულო მონაცემების დადგენის მიზნით, ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე შექმნილმა მუდმივმოქმედმა კომისიამ ჩაატარა ადმინისტრაციული საქმისწარმოება. წარმოგიდგენთ საარქივო მასალების შესწავლის საფუძველზე მიღებულ ინფორმაციას.

1. ლია ტრისტანის ასული ბარნაბიშვილი 1991 წელს მისაღები გამოცდების შედეგების საფუძველზე ჩაირიცხა თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო

უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტის დღის სწავლების წარმოების ეკონომიკისა და მართვის სპეციალობაზე (ბრძანება №4/520, 15.08.1991).

1994 წელს ლექცია-სემინარების სისტემატიური გაცდენებისთვის ამოირიცხა სტუდენტთა სიიდან (ბრძანება №4/789, 24.11.1994). 1994 წლის 31 დეკემბრის №4/869 ბრძანებით კი ნაწილობრივ შეიცვალა ბრძანება №4/789, 24.11.1994 და ამორიცხვის ნაცვლად ლია ტრისტანის ასული ბარნაბიშვილი აღდგენილ იქნა ეკონომიკის ფაკულტეტის დაუსწრებელი განყოფილების წარმოების ეკონომიკისა და მართვის სპეციალობის II კურსზე (ბრძანება №4/869, 31.12.1994).

საქმისწარმოებისას საარქივო დოკუმენტების შესწავლისას დადგინდა, რომ 1994 წლის 31 დეკემბრის №4/869 ბრძანებაში დაშვებულია ტექნიკური ხარვეზი და ლია ტრისტანის ასული ბარნაბიშვილი აღდგენილი იქნა ეკონომიკის ფაკულტეტის დაუსწრებელი განყოფილების წარმოების ეკონომიკისა და მართვის სპეციალობის არა II კურსზე, არამედ IV კურსზე. აღნიშნული ფაქტი დასტურდება ყოფილი ეკონომიკის ფაკულტეტის მიერ იმ პერიოდში წარმოებული სტუდენტთა აკადემიური წარმატებების ჟურნალებით.

1996 წლის 28 ივნისს ეკონომიკის ფაკულტეტის მრეწველობის ეკონომიკის სპეციალობის სახელმწიფო საგამოცდო კომისიის სხდომის (ოქმი უნომროა) გადაწყვეტილებით სახელმწიფო საგამოცდო კომისიის წინაშე სადიპლომი ნაშრომების დაცვისა და სახელმწიფო გამოცდების ჩაბარების საფუძველზე მიენიჭა ეკონომისტის კვალიფიკაცია და მიეცა დიპლომი ჩვეულებრივი დაუსწრებელი განყოფილების მრეწველობის ეკონომიკის სპეციალობის კურსდამტავრებულ ლია ტრისტანის ასულ ბარნაბიშვილს (ბრძანება №4/564, 30.07.1996).

1996-1997 წლების დიპლომების გაცემის სარეგისტრაციო ჟურნალში დიპლომი A№00500 (სარეგისტრაციო №01/290) რეგისტრირებულია ლია ბარნაბიშვილის სახელზე.

თსუ არქივიდან წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, 1996 წელს ყოფილი ეკონომიკის ფაკულტეტზე ხარისხის/კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე ოთხი კომისიის მიერ სხვადასხვა სპეციალობებში წარმოებულია დღის, საღამოს და დაუსწრებელი სწავლების სახელმწიფო საგამოცდო კომისიის სხდომის 31 ოქმი. ყველა ოქმზე დაფიქსირებულია თარიღი, მაგრამ ზოგიერთი ოქმი არ არის დანომრილი.

პირველი კომისიის *(კომისიის თავმჯდომარე: აკად. შ. ბენია; წევრები: პროფ. გ. გამსახურდია, დოც. ც. სეხნიაშვილი, დოც. რ. თოდუა, დოც. თ. ციგროშვილი)* მიერ 1996 წლის 25 ივნისს წარმოებულია 2 ოქმი და 1996 წლის 5 ივლისს წარმოებულია 11 ოქმი. ყველა ოქმს მინიჭებული აქვს ნომერი.

მეორე კომისიის *(კომისიის თავმჯდომარე: დოც. გ. ყუფუნია; წევრები: პროფ. თ. ჭიაბრიშვილი, პროფ. პ. ლემონჯავა, დოც. ლ. ჯოხაძე, დოც. ნ. სულავა, დოც. ი. ხუხუა, უფ./მასწ. ჰ. ყარაშვილი)* მიერ 1996 წლის 29 ივნისს წარმოებულია 6 ოქმი და მათ მინიჭებული აქვთ ნომერი №10.

მესამე კომისიის *(კომისიის თავმჯდომარე: პროფ. ვლადიმერ რაჟდენის ძე ახალაია; წევრები: პროფ. ო. ნ. საღარეიშვილი, დოც. ი. ი. გიგოშვილი, დოც. ვ. ი. სვანიძე, დოც. ზ. ვ. გალდავა)* მიერ 1996 წლის 27 ივნისს წარმოებულია 2 ოქმი, ხოლო 28

ივნისს 5 ოქმი. მათ შორის მხოლოდ 28 ივნისს წარმოებულ ერთ ოქმზეა დაფიქსირებული ნომერი (№1).

მეოთხე კომისიის *(კომისიის თავმჯდომარე: ე.მ.კ. ი. არჩვაძე; წევრები: პროფ. გ. ადეიშვილი, პროფ. გ. თოდუა, პროფ. ბ. გაბიძაშვილი, დოც. ე. ხარაბაძე, დოც. ე. მექვაბიშვილი)* მიერ 1996 წლის 6 ივლისს წარმოებულია 5 ოქმი და არც ერთ ოქმს არ აქვს მინიჭებული ნომერი.

როგორც წარმოდგენილი მასალებიდან ირკვევა, კომისიების მიერ წარმოებული ოქმების დანომვრა ხდებოდა ერთმანეთისგან დამოუკიდებლად. ამასთან მიზანშეწონილია ოქმების დანომვრა განხორციელდეს თარიღების მიხედვით და თუ სახელმწიფო საგამოცდო კომისიის მიერ ერთი და იმავე თარიღით ექნება რამდენიმე ოქმი წარმოებული, მაშინ მხედველობაში სხვა მონაცემებიცაა მისაღები. ამჟამად, ჩვენ განვიხილავთ მხოლოდ მესამე და მეოთხე კომისიის მიერ წარმოებულ ოქმებს.

დიპლომის ფორმისთვის განსაზღვრული სავალდებულო მონაცემების დადგენის/აღდგენის მუდმივმოქმედმა კომისიამ იმსჯელა და განახორციელა უნომრო ოქმებისთვის (გადაწყვეტილებებისთვის) ნომრების მინიჭება და ნომრის პირობითობის აღსანიშნავად ასო „პ“-ს დამატება.

2. **სერგო თეიმურაზის ძე ვაშაკიძე** 2002 წელს მისაღები გამოცდების შედეგების საფუძველზე ჩაირიცხა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კომერციისა და მარკეტინგის ფაკულტეტის დასწრებული სწავლების სამრეწველო პროდუციის ექსპერტიზა და სერტიფიკაცია საერთაშორისო ვაჭრობაში სპეციალობაზე (ბრძანება №4/970, 02.08.2002). 2003 წლის 1 სექტემბრიდან გადაყვანილი იქნა კომერციისა და მარკეტინგის ფაკულტეტის „სასურსათო პროდუქციის ექსპერტიზა და სერტიფიკაცია საერთაშორისო ვაჭრობაში“ სპეციალობის დღის სწავლების II კურსზე განსხვავებული საგნების ჩაბარების უფლებით (ბრძანება №4/702, §4, 4.07.2003).

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის, პროფესორ რუსუდან ლორთქიფანიძის 2005 წლის 16 ივნისის №92 ბრძანებით ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტში გაერთიანდა ყოფილი ეკონომიკის, მიკროეკონომიკისა და მენეჯმენტის, კომერციისა და მარკეტინგის და საერთაშორისო ბიზნესის ფაკულტეტები ბიზნესის სამართლის მიმართულების გარეშე (ბრძანება №92, 16.06.2005).

2005-2006 სასწავლო წელს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის კვების პროდუქტების ექსპერტიზა და სერტიფიკაცია საერთაშორისო ვაჭრობის სპეციალობის დასწრებული სწავლების საბიუჯეტო სექტორის IV კურსის სტუდენტ სერგო ვაშაკიძეს მიეცა აკადემიური შვებულება გერმანიაში სასწავლებლად გამგზავრების გამო (ბრძანება №4/743, 15.09.2005), ხოლო 2006-2007 სასწავლო წლიდან აღუდგა სტუდენტის სტატუსი (ბრძანება №01-04/732, 15.09.2006).

2006-2007 სასწავლო წელს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ექსპერტიზისა და სერტიფიკაცია საერთაშორისო ვაჭრობაში სპეციალობის დასწრებული სწავლების საბიუჯეტო სექტორის IV კურსის სტუდენტ სერგო ვაშაკიძეს, რომელსაც 2005 წლის 15

სექტემბრის №4/743 ბრძანებით შეჩერებული ჰქონდა სტუდენტის სტატუსი აღუდგა სტუდენტის სტატუსი (ბრძანება №01-04/732, 15.09.2006).

2007 წელს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სასურსათო პროდუქციის ექსპერტიზის სპეციალობის 2007 წლის კურსდამთავრებულ სერგო ვაშაკიძეს მიენიჭა ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრის აკადემიური ხარისხი, ხარისხის მენეჯერის კვალიფიკაციით (ბრძანება №849/01-04, 14.09.2007).

2007-2008 სასწავლო წლის დიპლომების გაცემის სარეგისტარციო ჟურნალში დიპლომი B №004500 (სარეგისტრაციო № 004522) რეგისტრირებულია სერგო ვაშაკიძის სახელზე.

თსუ რექტორის 2007 წლის 14 სექტემბრის №849/01-04 ბრძანებით სერგო ვაშაკიძისთვის მინიჭებული კვალიფიკაცია (ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრის აკადემიური ხარისხი მენეჯერის კვალიფიკაციით) არ შეესაბამება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 18 ნოემბრის №633 ბრძანებით დამტკიცებულ საქართველოს უმაღლესი განათლების ბაკალავრიატის სპეციალობათა ჩამონათვალში მითითებულ კვალიფიკაციას. ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა ფაკულტეტის საბჭოზე მოახდინა ს. ვაშაკიძისთვის მინიჭებული ხარისხის კორექტირება.

თსუ რექტორის 2007 წლის 14 სექტემბრის №849/01-04 ბრძანების საფუძველია ფაკულტეტის დეკანის მოვალეობის შემსრულებლის წარდგინება (№04-2/263, 4.09.07). საქმის გარემოებებიდან გამომდინარე ირკვევა, რომ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე 2007 წელს მოქმედებდა ორი საატესტაციო კომისია: ეკონომიკის მიმართულებით და ბიზნესის ადმინისტრირების მიმართულებით. ფაკულტეტზე მოძიებული 2007 წლის კურსდამთავრებულთათვის ბაკალავრის აკადემიური ხარისხის მიმნიჭებელი საატესტაციო კომისიის სხდომის ოქმები არის ზოგადი სახის. კერძოდ, ამ ოქმებში არ არის მითითებული იმ სტუდენტთა გვარები, რომელთაც მიენიჭათ ბაკალავრის ხარისხი. აღნიშნულიდან გამომდინარე, მიზანშეწონილია ხარისხის/კვალიფიკაციის მინიჭების გადაწყვეტილებათა თარიღად პირობითად განისაზღვროს რექტორის მიერ გამოცემული აკადემიური ხარისხის მინიჭებისა და დიპლომის გაცემის შესახებ ბრძანების გამოცემის თარიღი, ხოლო ნომრად რექტორის მიერ გამოცემული ბრძანების ნომერი ინდექსის გარეშე, რომელსაც წილადის შემდეგ ნომრის პირობითობის აღსანიშნავად დაემატება ასო „პ“.

3. ალექსი ონაშვილი 2003 წელს ჩაირიცხა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტის დასწრებული სწავლების არასაბიუჯეტო განყოფილების ფინანსებისა და საბანკო საქმის სპეციალობაზე (ბრძანება №4/862, 26.08.2003). 2004 წელს აკადემიური ჩამორჩენილობის გამო პირველი სემესტრის შედეგების მიხედვით დატოვებულ იქნა კურსზე განმეორებითი სწავლებისთვის (ბრძანება №4/557, 04.06.2004).

2008 წელს ალექსი ონაშვილს საბაკალავრო პროგრამის დასრულების მიზნით 2008-2009 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრში მიეცა ეკონომიკისა და ბიზნესის

ფაკულტეტზე თვითდაფინანსებით სწავლის გაგრძელების უფლება და დარეგისტრირდა IX სემესტრის სტუდენტად (ბრძანება №1479/01-04, 07.10.2008).

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საატესტაციო კომისიის 2009 წლის 19 თებერვლის გადაწყვეტილების შესაბამისად ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ფინანსები და საბანკო საქმის სპეციალობის 2009 წლის კურსდამთავრებულ ალექსი ონაშვილს მიენიჭა ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრის აკადემიური ხარისხი ფინანსისტის კვალიფიკაციით (სახელმწიფო დაფინანსები 0%) - ბრძანება №942/01-04, 15.05.2009).

2008-2009 წლების დიპლომების გაცემის სარეგისტრაციო ჟურნალში დიპლომი BN№002494 (სარეგისტრაციო №002494) რეგისტრირებულია ალექსი ონაშვილის სახელზე.

ალექსი ონაშვილის სახელზე გაცემულ დიპლომსა და დიპლომის დანართში მითითებული კვალიფიკაცია არ შეესაბამებოდა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 18 ნოემბრის №633 ბრძანებით დამტკიცებულ საქართველოს უმაღლესი განათლების სპეციალობათა ჩამონათვალში მითითებულ კვალიფიკაციას. თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის 2016 წლის 29 მარტს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა დღის წესრიგში დააყენა საკითხი **„ბაკალავრიატის კურსდამთავრებულთათვის მინიჭებული აკადემიური ხარისხის კორექტირების შესახებ“.** კერძოდ, ფინანსები და საბანკო საქმის სპეციალობის 2009 წლის კურსდამთავრებულ ალექსი ონაშვილისთვის მინიჭებული აკადემიური ხარისხის კორექტირების შესახებ. საბჭოს გადაწყვეტილებით, **საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 18 ნოემბრის №633 ბრძანების შესაბამისად ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ფინანსები და საბანკო საქმის სპეციალობის 2009 წლის კურსდამთვრებულ ალექსი ონაშვილს „ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრის აკადემიური ხარისხის“ ნაცვლად მიენიჭა „ბიზნესის მართვის ბაკალავრის აკადემიური ხარისხი“.**

ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის კურსდამთავრებულთათვის შესაბამისი აკადემიური ხარისხის მინიჭებისა და დიპლომის გაცემის შესახებ თსუ რექტორის 2009 წლის 15 მაისის №942/01-04 ბრძანების საფუძველია ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანის მოვალეობის შემსრულებლის წარდგინება №8145/02, 24.04.2009. ფაკულტეტზე არსებობს აღნიშნული წარდგინების ელექტრონული ვერსია, რომლითაც ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საატესტაციო კომისიის 2009 წლის 19 თებერვლის გადაწყვეტილების შესაბამისად სხვადასხვა სპეციალობის კურსდამთავრებულებს მიენიჭათ ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრის აკადემიური ხარისხი ან ეკონომიკის მეცნიერების ბაკალავრის აკადემიური ხარისხი შესაბამისი კვალიფიკაციით, კერძოდ,

ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრის აკადემიური ხარისხი მიენიჭათ:

- ფინანსები და საბანკო საქმის სპეციალობის 24 კურსდამთავრებულს ფინანსების კვალიფიკაციით;

- აღრიცხვა, კონტროლი, აუდიტის სპეციალობის 7 კურსდამთავრებულს ბუღალტრის კვალიფიკაციით;
- ინფორმატიკა ბიზნესში სპეციალობის 1 კურსდამთვრებულს საინფორმაციო სისტემების მენეჯერის კვალიფიკაციით.

ეკონომიკის მეცნიერების ბაკალავრის აკადემიური ხარისხი მიენიჭათ:

- საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების სპეციალობის 8 კურსდამთავრებულს ეკონომისტ-ექსპერტის კვალიფიკაციით;
- მაკროეკონომიკის სპეციალობის 6 კურსდამთავრებულს ეკონომისტის კვალიფიკაციით;
- ეკონომიკური თეორიის სპეციალობის 1 კურსდამთავრებულს ეკონომისტის კვალიფიკაციით;
- სტატისტიკის სპეციალობის 1 კურსდამთავრებულს ეკონომისტის კვალიფიკაციით.

თსუ არქივმა, ფაკულტეტს, მოთხოვნის საფუძველზე გადმოსცა 2009 წელს თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ბაკალავრის აკადემიური ხარისხის მიმნიჭებელი საატესტაციო კომისიის სხდომის ოქმები. კერძოდ,

- ბიზნესის ადმინისტრირების მიმართულების ბაკალავრის აკადემიური ხარისხის მიმნიჭებელი საატესტაციო კომისიის 2009 წლის 19 თებერვლის და 2009 წლის 21 სექტემბრის სხდომის ოქმები (№1, №2);
- ეკონომიკის მიმართულების ბაკალავრის აკადემიური ხარისხის მიმნიჭებელი საატესტაციო კომისიის 2009 წლის 19 თებერვლის და 2009 წლის 21 სექტემბრის სხდომის ოქმები (№1, №3).

ვინაიდან აღნიშნული ოქმების დანართებში არ იძებნება ალექსი ონაშვილის გვარი, ამიტომ მიზანშეწონილია აღდგენილად ჩაითვალოს 2009 წელს აკადემიური ხარისხის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილებები და ამ გადაწყვეტილებებში არსებული ინფორმაცია. თსუ იურიდიულ დეპარტამენტთან შეთანხმებით ამ გადაწყვეტილების თარიღად პირობითად განისაზღვროს რექტორის მიერ გამოცემული აკადემიური ხარისხის მინიჭებისა და დიპლომის გაცემის შესახებ ბრძანების გამოცემის თარიღი, ხოლო ნომრად რექტორის მიერ გამოცემული ბრძანების ნომერი ინდექსის გარეშე, რომელსაც წილადის შემდეგ პირობითობის აღსანიშნავად დაემატება ასო „პ“.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით აზრი არავის გამოუთქვამს.

გაიმართა კენჭისყრა

კენჭისყრის შედეგები: **მომხრე – 21**

წინააღმდეგი – 0

დაადგინეს:

I. აღდგენილად ჩაითვალოს 1996 წელს ყოფილი ეკონომიკის ფაკულტეტის კურსდამთავრებულთათვის ხარისხის/კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილებები და ამ გადაწყვეტილებებში არსებული ინფორმაცია.

1. თსუ-ს ყოფილი ეკონომიკის ფაკულტეტის სახელმწიფო საგამოცდო კომისიის მიერ წარმოებული შრომის ეკონომიკის *(დღე, საღამო, დაუსწრებელი)*, წარმოების ეკონომიკისა და მართვის *(დღე, საღამო)*, მრეწველობის ეკონომიკის *(დაუსწრებელი)* და სოფლის მეურნეობის ეკონომიკის *(დაუსწრებელი)* სპეციალობების კურსდამთავრებულთათვის ხარისხის/კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების რეკვიზიტები (ოქმის თარიღი და ნომერი) განისაზღვროს შემდეგნაირად:
   - ყოფილი ეკონომიკის ფაკულტეტის დღის განყოფილების ***შრომის ეკონომიკის*** სპეციალობის კურსდამთავრებულებს ეკონომისტის კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების 1996 წლის 27 ივნისის სახელმწიფო საგამოცდო კომისიის სხდომის ოქმის თარიღად განისაზღვროს ***1996 წლის 27 ივნისი*** და ნომრად ***№1/ბ***;
   - ყოფილი ეკონომიკის ფაკულტეტის დღის განყოფილების ***წარმოების ეკონომიკა და მართვა*** სპეციალობის კურსდამთავრებულებს ეკონომისტის კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების 1996 წლის 27 ივნისის სახელმწიფო საგამოცდო კომისიის სხდომის ოქმის თარიღად განისაზღვროს ***1996 წლის 27 ივნისი*** და ნომრად ***№2/ბ***;
   - ყოფილი ეკონომიკის ფაკულტეტის საღამო განყოფილების ***შრომის ეკონომიკის*** სპეციალობის კურსდამთავრებულებს ეკონომისტის კვალიფიკაციის მინჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების 1996 წლის 28 ივნისის სახელმწიფო საგამოცდო კომისიის სხდომის ოქმის რეკვიზიტების დარჩეს უცვლელი - ***ეკონომიკის ფაკულტეტის შრომის ეკონომიკის სპეციალობის სახელმწიფო საგამოცდო კომისიის სხდომის ოქმი №1, 28.06.1996***;
   - ყოფილი ეკონომიკის ფაკულტეტის დაუსწრებელი განყოფილების ***შრომის ეკონომიკის*** სპეციალობის კურსდამთავრებულებს ეკონომისტის კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების 1996 წლის 28 ივნისის სახელმწიფო საგამოცდო კომისიის სხდომის ოქმის თარიღად განისაზღვროს ***1996 წლის 28 ივნისი*** და ნომრად ***№2/ბ***;
   - ყოფილი ეკონომიკის ფაკულტეტის საღამო განყოფილების ***წარმოების ეკონომიკისა და მართვის*** სპეციალობის კურსდამთავრებულებს ეკონომისტის კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების 1996 წლის 28 ივნისის სახელმწიფო საგამოცდო კომისიის სხდომის ოქმის თარიღად განისაზღვროს ***1996 წლის 28 ივნისი*** და ნომრად ***№3/ბ***;
   - ყოფილი ეკონომიკის ფაკულტეტის დაუსწრებელი განყოფილების ***მრეწველობის ეკონომიკის*** სპეციალობის კურსდამთავრებულებს (მ.შ. ლია ბარნაბიშვილი) ეკონომისტის კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების 1996 წლის 28 ივნისის სახელმწიფო საგამოცდო კომისიის სხდომის ოქმის თარიღად განისაზღვროს ***1996 წლის 28 ივნისი*** და ნომრად ***№4/ბ***;
   - ყოფილი ეკონომიკის ფაკულტეტის დაუსწრებელი განყოფილების ***სოფლის მეურნეობის ეკონომიკის*** სპეციალობის კურსდამთავრებულებს ეკონომისტის კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების 1996 წლის 28

ივნისის სახელმწიფო საგამოცდო კომისიის სხდომის ოქმის თარიღად განისაზღვროს ***1996 წლის 28 ივნისი*** და ნომრად ***№5/3***.

2. თსუ-ს ყოფილი ეკონომიკის ფაკულტეტის სახელმწიფო საგამოცდო კომისიის მიერ წარმოებული პოლიტიკური ეკონომიის *(დღე)*, აღრიცხვა, კონტროლი, აუდიტის *(დღე)*, საერთაშორისო ეკონომიკური ურთიეთობების *(დღე)* და სტატისტიკის *(დღე, საღამო)* სპეციალობების კურსდამთავრებულთათვის ხარისხის/კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების რეკვიზიტები (ოქმის თარიღი და ნომერი) განისაზღვროს შემდეგნაირად:
   - ყოფილი ეკონომიკის ფაკულტეტის დღის განყოფილების ***პოლიტიკური ეკონომიის*** სპეციალობის კურსდამთავრებულებს ეკონომისტის, პოლიტიკური ეკონომიის მასწავლებლის კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების 1996 წლის 6 ივლისის სახელმწიფო საგამოცდო კომისიის სხდომის ოქმის თარიღად განისაზღვროს ***1996 წლის 6 ივლისი*** და ნომრად ***№1/3***;
   - ყოფილი ეკონომიკის ფაკულტეტის დღის განყოფილების ***აღრიცხვა, კონტოლი, აუდიტის*** სპეციალობის კურსდამთავრებულებს ეკონომისტის კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების 1996 წლის 6 ივლისის სახელმწიფო საგამოცდო კომისიის სხდომის ოქმის თარიღად განისაზღვროს ***1996 წლის 6 ივლისი*** და ნომრად ***№2/3***;
   - ყოფილი ეკონომიკის ფაკულტეტის დღის განყოფილების ***საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების*** სპეციალობის კურსდამთავრებულებს ეკონომისტის კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების 1996 წლის 6 ივლისის სახელმწიფო საგამოცდო კომისიის სხდომის ოქმის თარიღად განისაზღვროს ***1996 წლის 6 ივლისი*** და ნომრად ***№3/3***;
   - ყოფილი ეკონომიკის ფაკულტეტის დღის განყოფილების ***სტატისტიკის*** სპეციალობის კურსდამთავრებულებს ეკონომისტის, პოლიტიკური ეკონომიის მასწავლებლის კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების 1996 წლის 6 ივლისის სახელმწიფო საგამოცდო კომისიის სხდომის ოქმის თარიღად განისაზღვროს ***1996 წლის 6 ივლისი*** და ნომრად ***№4/3***;
   - ყოფილი ეკონომიკის ფაკულტეტის საღამო განყოფილების ***სტატისტიკის*** სპეციალობის კურსდამთავრებულებს ეკონომისტის კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების 1996 წლის 6 ივლისის სახელმწიფო საგამოცდო კომისიის სხდომის ოქმის თარიღად განისაზღვროს ***1996 წლის 6 ივლისი*** და ნომრად ***№5/3***.
3. ზემოაღნიშნული პირობები გავრცელდეს ყოფილი ეკონომიკის ფაკულტეტის სახელწიფო საგამოცდო კომისიის მიერ 1996 წლის 27 ივნისს, 28 ივნისს და 6 ივლისს წარმოებულ სხდომის ოქმებში *(იხ.ეკონომიკის ფაკულტეტის 1996 წლის 27 ივნისის, 28 ივნისის და 6 ივლისის სახელმწიფო საგამოცდო კომისიის სხდომის ოქმები)* მითითებულ ყველა კურსდამთავრებულზე და მათ დიპლომებში ცვლილებები განხორციელდეს ინდივიდუალური მომართვის შემთხვევაში.

II. აღდგენილად ჩაითვალოს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის კურსდამთავრებულთათვის შესაბამისი აკადემიური ხარისხის მინიჭებისა და დიპლომის

გაცემის შესახებ თსუ რექტორის 2007 წლის 14 სექტემბრის №849/01-04 ბრძანებით ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სასურსათო პროდუქციის ექსპერტიზის სპეციალობის 2007 წლის კურსდამთავრებულ სერგო ვაშაკიძისთვის ხარისხის/კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილება, ამ გადაწყვეტილებაში არსებული ინფორმაცია და აკადემიური ხარისხის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების (ოქმის) თარიღად განისაზღვროს ***2007 წლის 14 სექტემბერი,*** ხოლო ოქმის ნომრად ***№849/3***.

III. აღდგენილად ჩაითვალოს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის კურსდამთავრებულთათვის შესაბამისი აკადემიური ხარისხის მინიჭებისა და დიპლომის გაცემის შესახებ თსუ რექტორის 2009 წლის 15 მაისის №942/01-04 ბრძანებით ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ფინანსები და საბანკო საქმის სპეციალობის 2009 წლის კურსდამთვრებულ ალექსი ონაშვილისთვის ხარისხის/კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილება, ამ გადაწყვეტილებაში არსებული ინფორმაცია და აკადემიური ხარისხის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების (ოქმის) თარიღად განისაზღვროს ***2009 წლის 15 მაისი***, ხოლო ოქმის ნომრად ***№942/3***.

მოისმინეს: ყოფილი თბილისის ეკონომიკური ურთიერთობების სახელმწიფო უნივერსიტეტის (თეუსუ) 1998 წლის კურსდამთავრებულ **მიხეილ აბაშიძის** დიპლომის დანართისთვის შეფასებების აღდგენის შესახებ.

/თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანის მოადგილე მ. ჩავლეიშვილი/

ქალბატონმა მარინა ჩავლეიშვილმა საბჭოს მოახსენა, რომ თსუ-ს განცხადებით მიმართა თბილისის ეკონომიკური ურთიერთობების სახელმწიფო უნივერსიტეტის 1998 წლის კურსდამთავრებულ მიხეილ აბაშიძემ დიპლომის დანართის თაობაზე.

აღნიშნულიდან გამომდინარე, მიხეილ აბაშიძის სახელზე უნდა გაიცეს ახალი დიპლომი, რომელიც საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 22 ივნისის №126/ნ ბრძანების თანახმად, ითვალისწინებს ჩარიცხვის ბრძანებისა და აკადემიური ხარისხის/კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების თარიღისა (რიცხვი, თვე, წელი) და ნომრის მითითებას. ამასთან დაკავშირებით, თსუ იურიდიული დეპარტამენტის განმარტებით, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2009 წლის 24 მარტის №162 ბრძანების გამოცემამდე არსებული ნორმატიული აქტებით დამტკიცებული დიპლომის ფორმები არ ითვალისიწინებდა აკადემიური ხარისხის/კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების (ოქმის) თარიღისა და ნომრის მითითების ვალდებულებას. მხოლოდ ზემოაღნიშნული ბრძანების მიღების შემდეგ გახდა სავალდებული აღნიშნული რეკვიზიტის დიპლომის ფორმაში მითითება. აქედან გამომდინარე, ამჟამად მოქმედი დიპლომის ფორმისთვის განსაზღვრული სავალდებულო მონაცემების დადგენის მიზნით, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის 2014 წლის 16 აპრილის №55/01-01 ბრძანების

საფუძველზე კონკრეტული საქმის გარემოების გათვალისწინებით საქართველოს კანონმდებლობით დიპლომის ფორმისთვის განსაზღვრული სავალდებულო ზოგიერთი მონაცემის დაუდგენლობისას, დიპლომზე მისათითებელი შესაბამისი ინფორმაციის შექმნაზე უფლებამოსილი ორგანო (ან მისი უფლებამონაცვლე) ვალდებულია „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ შესაბამისად ჩაატაროს ადმინისტრაციული წარმოება და საქმის გარემოებების გამოკვლევის შედეგად მიღებული გადაწყვეტილებით დაადასტუროს ან/და შექმნას შესაბამისი ინფორმაცია.

ქ-ნ მ. ჩავლეიშვილმა აღნიშნა, რომ საკითხთან დაკავშირებით ჩატარდა ადმინისტრაციული საქმისწარმოება და დადგინა, რომ **მიხეილი შოთას ძე აბაშიძე** 1993 წელს ჩაირიცხა თბილისის კომერციის ინსტიტუტში საგარეო ეკონომიკურ საქმიანობის მენეჯერის სპეციალობაზე (ბრძანება №01-03/54, 26.06.1993).

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის დადგენილებით თბილისის კომერციის ინსტიტუტს შეეცვალა სახელწოდება და ეწოდა ეკონომიკურ ურთიერთობათა თბილისის სახელმწიფო ინსტიტუტი (დადგენილება №137, 13.03.1995).

ბიზნეს-ადმინისტრირების ფაკულტეტის საგარეო ეკონომიკური საქმიანობის მენეჯერის საკვალიფიკაციო-საატესტაციო კომისიის 1998 წლის 20 ივნისის დასკვნითი ოქმი №16-ის საფუძველზე მიხეილ აბაშიძეს მიენიჭა ეკონომისტის (მენეჯერის) კვალიფიკაცია და მიეცა ეკონომიკურ ურთიერთობათა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამთავრების ჩვეულებრივი დიპლომი (ბრძანება №04-02/03-37, 22.06.1998).

დიპლომი გაცემის სარეგისტრაციო წიგნში დიპლომი AA №001270 (სარეგისტრაციო №342) რეგისტრირებულია მიხეილ შოთას ძე აბაშიძის სახელზე.

მიხეილ აბაშიძის პირად საქმეში და უწყისებში არ იძებნება მეოთხე კურსის მეორე სემესტრში შესწავლილი საგნების შეფასებები. აღნიშნული ფაქტი, გამოწვეულია გარკვეული მიზეზებით, კერძოდ, ფაკულტეტზე არსებული უწყისების ნაწილი არქივში გადაცემული არ არის და არც დამატებითი მოკვლევით არ იძებნება. მიხეილ აბაშიძისთვის აკადემიური ხარისხის მინიჭების ავთენტურობის დამადასტურებელი ფაქტებია:

- ✓ თეუსუ-ს დებულების თანახმად სტუდენტი საატესტაციო-საკვალიფიკაციო გამოცდებზე დეკანის ბღძანებით დაიშვებოდა მხოლოდ სასწავო გეგმით გათვალისწინებული სასწავლო დისციპლიმების ჩაბარების შემდეგ;
- ✓ დამატებითი მოკვლევით მოძიებული საატესტაციო-საკვალფიკაციო გამოცდების უწყისები;
- ✓ საატესტაციო-საკვალიფიკაცი გამოცდების დასკვნითი ოქმი №16, 20.06.1998;
- ✓ რექტორის ბრძანება ეკონომისტის (მენეჯერის) კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე (ბრძანება №04-02/03-57, 22.06.1998);
- ✓ მიხეილ აბაშიძის სახელზე გაცემული დიპლომი AA №001270 (სარეგისტრაციო №342).

თსუ იურიდიულ დეპერტამენტთან და სასწავლო პროცესის მართვის დეპარტამენტთან კონსულტაციების საფუძველზე გადაწყდა, რომ მიხეილ აბაშიძის პირად საქმეში არსებული დოკუმენტაცია იძლევა მისი მოთხოვნის დაკმაყოფილების სამართლებრივ შესაძლებლობას. ფაკულტეტისთვის დამაბრკოლებელ გარემოებას წარმოადგენს მეოთხე კურსის მეორე სემესტრის უწყისების არ არსებობა. აღნიშნული საკითხი არ შეიძლება წარმოადგენდეს

პირის უფლების შეზღუდვის საფუძველს, ვინაიდან წინააღმდეგ შემთხვევაში სახეზე გვექნება საქართველოს ადმინისტრაციული კანონმდებლობით აღიარებული და დაცული იურიდიული ინტერესის ხელყოფა.

კომისიის წინაშე მომხსენებელი შემოვიდა წინადადებით, რომ მიხეილ აბაშიძის შეფასებები აღდგეს მინიმალური ქულებით.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით აზრი არავის გამოუთქვამს.

გაიმართა კენჭისყრა

კენჭისყრის შედეგები: მომხრე – 21

წინააღმდეგი – 0

დაადგინეს: კურსდამთავრებულთან შეთანხმებით შეფასებები აღდგეს მინიმალური ქულებით. კერძოდ, გაიცეს მიხეილ აბაშიძის სახელზე დიპლომის დანართი და მეოთხე კურსის მეორე სემესტრში შეფასებებში აისახოს მინიმალური შეფასება.

მოისმინეს: ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის 2015-2016 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრის კურსდამთავრებულ გურამი გოგაძისთვის ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრის აკადემიური ხარისხების მინიჭების შესახებ.

/ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი ე. ხარაიშვილი/

ქ-მა ე. ხარაიშვილმა აღნიშნა, რომ ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურში შემოსულია ფაკულტეტის უფროსი სპეციალისტის ე. კვირიკაშვილის წერილი (№3836/29, 12.04.2016), რომლის მიხედვითაც ის ითხოვს შუამდგომლობას ფაკულტეტის საბჭოს წინაშე, რათა მიენიჭოს ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრის აკადემიური ხარისხი 2015-2016 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრის ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამის კურსდამთავრებულს, გოგაძე გურამის (პ/ნ: 01005011987) და მიეცეს დიპლომი ჩვეულებრივი.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით აზრი არავის გამოუთქვამს.

გაიმართა კენჭისყრა

კენჭისყრის შედეგები: მომხრე – 21

წინააღმდეგი – 0

დაადგინეს: მიენიჭოს ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრის აკადემიური ხარისხი 2015-2016 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრის ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამის კურსდამთავრებულს, გოგაძე გურამის (01005011987) და მიეცეს დიპლომი ჩვეულებრივი.

მოისმინეს: ბაკალავრიატის კურსდამთავრებულთათვის მინიჭებული აკადემიური ხარისხების კორექტირების შესახებ

/ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი ე. ხარაიშვილი/

1. **ყოფილი მენეჯმენტისა და მიკროეკონომიკის ფაკულტეტის მენეჯმენტის სპეციალობის 2003 წლის კურსდამთავრებულთათვის მინიჭებული აკადემიური ხარისხის კორექტირების შესახებ**

ქ-მა ე. ხარაიშვილმა აღნიშნა, რომ ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურში შემოსულია სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფროსის ი. მშვენიერაძის წერილი (№4050/29, 21.04.2016). მასში აღნიშნულია, რომ სასწავლო პროცესის მართვის დეპარტამენტმა მოითხოვა ყოფილი მენეჯმენტისა და მიკროეკონომიკის ფაკულტეტის მენეჯმენტის სპეციალობის 2003 წლის კურსდამთავრებულ თეა გოგიჩაიშვილისთვის კვალიფიკაციის მინიჭების ოქმის (აკადემიური ხარისხის) შესაბამისობაში მოყვანა.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ჩატარდა ადმინისტრაციული საქმისწარმოება და თსუ სასწავლო პროცესის მართვის დეპარტამენტის მიერ წარმოდგენილი საარქივო მასალების საფუძველზე დადგინდა, რომ **თეა გურამის ასული გოგიჩაიშვილი** 1998 წელს მისაღები გამოცდების შედეგების საფუძველზე ჩაირიცხა მენეჯმენტისა და მიკროეკონომიკის ფაკულტეტის დასწრებული სწავლების მენეჯმენტის სპეციალობაზე (ბრძანება №4/570, 5.08.1998).

2001 წელს მენეჯმენტისა და მიკროეკონომიკის ფაკულტეტის დასწრებული სწავლების მენეჯმენტის სპეციალობის დღის სწავლების IV კურსის სტუდენტი თეა გურამის ასული გოგიჩაიშვილი პირადი განცხადების საფუძველზე ამოირიცხა სტუდენტთა სიიდან უფასო აღდგენის უფლებით (ბრძ.№ 4/1132, 12.10.2001).

2002 წელს თეა გოგიჩაიშვილი აღდგენილ იქნა სტუდენტის უფლებებში მენეჯმენტისა და მიკროეკონომიკის ფაკულტეტის მენეჯმენტის სპეციალობის დღის სწავლების IV კურსზე (ბრძანება №4/1685, 05.12.2002).

მენეჯმენტისა და მიკროეკონომიკის ფაკულტეტის მენეჯმენტის სპეციალობაში სახელმწიფო საგამოცდო კომისიის 2003 წლის 11 ივნისის შემაჯამებელი სხდომის (ოქმი №4) გადაწყვეტილებით და ხარისხის მინიჭების შესახებ თსუ რექტორის 2003 წლის 17 ივლისის ბრძანებით მენეჯმენტისა და მიკროეკონომიკის ფაკულტეტის მენეჯმენტის სპეციალობის დღის განყოფილების კურსდამთავრებულ თეა გოგიჩაიშვილს მიენიჭა ბაკალავრის აკადემიური ხარისხი მენეჯერის კვალიფიკაციით და მიეცა დიპლომი ჩვეულებრივი.

2003 წლის დიპლომების გაცემის სარეგისტრაციო ჟურნალში დიპლომი ჩვეულებრივი B №10493 (სარეგისტრაციო №01/358) რეგისტრირებულია თეა გოგიჩაიშვილის სახელზე.

საარქივო დოკუმენტებში წარმოდგენილია მხოლოდ თეა გოგიჩაიშვილის სახელზე შევსებული ბაკალავრის დიპლომის დანართი, რომელშიც აღნიშნულია, რომ „თეა გოგიჩაიშვილი, დაბადებული 1981 წელს, 1998 წელს ჩაირიცხა თსუ მენეჯენტისა და მიკროეკონომიკის ფაკულტეტის მენეჯმეტის სპეციალობაზე. ... და 2003 წელს დაამთავრა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მენეჯმენტისა და მიკროეკონომიკის ფაკულტეტი, სპეციალობით მენეჯმენტი და მიენიჭა ეკონომიკის ბაკალავრის აკადემიური ხარისხი, მენეჯერის კვალიფიკაციით“.

თეა გოგიჩაიშვილის სახელზე გაცემულ ბაკალავრის დიპლომის დანართში მითითებული ბაკალავრის აკადემიური ხარისხი არ არის შესაბამისობაში სახელმწიფო საგამოცდო კომისიის შემაჯამებელი სხდომის ოქმში (№4, 11.06.2003) და თსუ რექტორის ბრძანებით (№4/808, 17.07.2003) მინიჭებულ ხარისხთან.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, თეა გოგიჩაიშვილის სახელზე გაცემულ ბაკალავრის დიპლომის (B №10493, სარეგისტრაციო №01/358) შესაბამისად უნდა შესწორდეს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მენეჯმენტისა და მიკროეკონომიკის ფაკულტეტის მენეჯმენტის სპეციალობაში სახელმწიფო საგამოცდო კომისიის 2003 წლის 11 ივნისის შემაჯამებელი სხდომის (ოქმი №4) გადაწყვეტილება და კურსდამთავრებულებს ნაცვლად „ბაკალავრის აკადემიური ხარისხისა“ მიენიჭოს „ეკონომიკის ბაკალავრის აკადემიური ხარისხი“.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით აზრი არავის გამოუთქვამს.

გაიმართა კენჭისყრა

კენჭისყრის შედეგები: მომხრე – 21

წინააღმდეგი – 0

დაადგინეს:

1. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მენეჯმენტისა და მიკროეკონომიკის ფაკულტეტის მენეჯმენტის სპეციალობაში სახელმწიფო საგამოცდო კომისიის 2003 წლის 11 ივნისის შემაჯამებელი სხდომის (ოქმი №4) გადაწყვეტილებით თეა გოგიჩაიშვილს მინიჭებული **„ბაკალავრის აკადემიური ხარისხის“** ნაცვლად მიენიჭოს **„ეკონომიკის ბაკალავრის აკადემიური ხარისხი“**.
2. აღნიშნული ცვლილება გავრცელდეს ოქმში მითითებულ ყველა კურსდამთავრებულზე *(იხ. სახელმწიფო საგამოცდო კომისიის შემაჯამებელი სხდომის ოქმი №4, 11.06.2003)* და მათ დიპლომებში ცვლილებები განცხორციელდეს ინდივიდუალური მომართვის შემთხვევაში.

2. **ყოფილი საერთაშორისო ბიზნესის ფაკულტეტის საერთაშორისო ბიზნესისა და საგარეო ვაჭრობის სპეციალობის 2005 წლის კურსდამთავრებულთათვის მინიჭებული აკადემიური ხარისხის კორექტირების შესახებ.**

ქ-მა ე. ხარაიშვილმა აღნიშნა, რომ ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურში შემოსულია სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფროსის ი. მშვენიერაძის წერილი (№3858/29, 13.04.2016). მასში აღნიშნულია, რომ სასწავლო პროცესის მართვის დეპარტამენტმა მოითხოვა ყოფილი საერთაშორისო ბიზნესის ფაკულტეტის 2005 წლის კურსდამტავრებულ ნანა პაკაცოშვილის აკადემიური ხარისხის დაკონკრეტება და დიპლომის დანართის მომზადება.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ჩატარდა ადმინისტრაციული საქმისწარმოება და თსუ სასწავლო პროცესის მართვის დეპარტამენტის მიერ წარმოდგენილი საარქივო მასალების საფუძველზე დადგინდა, რომ **ნანა აკაკის ასული პაკაცოშვილი** 2001 წელს მისაღები გამოცდების შედეგების საფუძველზე ჩაირიცხა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საერთაშორისო ბიზნესის ფაკულტეტის ფასიანი განყოფილების დასწრებული სწავლების საერთაშორისო ბიზნესისა და საგარეო ვაჭრობის სპეციალობაზე (ბრძანება №4/760, 27.08.2001).

საერთშორისო ბიზნესის ფაკულტეტის საერთაშორისო ბიზნესისა და საგარეო ვაჭრობის სპეციალობაში 2005 წლის 27 ივნისის ფაკულტეტის საბჭოს საატესტაციო სხდომის გადაწყვეტილებით (შემაჯამებელი ოქმი №3) საერთშორისო ბიზნესის ფაკულტეტის კურსდამთავრებულ ნანა პაკაცოშვილს მიენიჭა ბაკალავრის აკადემიური ხარისხი საერთაშორისო ბიზნესისა და საგარეო ვაჭრობის სპეციალობით მენეჯერის კვალიფიკაციით, ხოლო ხარისხის მინიჭების შესახებ თსუ რექტორის 2005 წლის 4 აგვისტოს №4/711 ბრძანებით საერთაშორისო ბიზენსის ფაკულტეტის დასწრებული სწავლების საერთაშორისო ბიზნესისა და საგარეო ვაჭრობის სპეციალობის 2004-2005 სასწავლო წლის კურსდამთავრებულ ნანა პაკაცოშვილს მიენიჭა საერთაშორისო ბიზნესის ბაკალავრის აკადემიური ხარისხი მენეჯერის კვალიფიკაციით და მიეცა დიპლომი წარჩინებით.

2005 წლის დიპლომების გაცემის სარეგისტრაციოჟურნალში დიპლომი წარჩინებით (ВН №000198, სარეგისტრაციო №01/648) რეგისტრირებულია ნანა პაკაცოშვილის სახელზე, რომელშიც აღნიშნულია, რომ „ნანა პაკაცოშვილი 2001 წელს ჩაირიცხა და 2005 წელს დაამთავრა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწფო უნივერსიტეტის საერთაშორისო ბიზნესის ფაკულტეტის ბაკალავრიატის სრული კურსი სპეციალობით სართაშორისო ბიზნესი და საგარეო ვაჭრობა. ფაკულტეტის საბჭოს 2005 წლის 27 ივნისის გადაწყვეტილებით ნანა პაკაცოშვილს მიენიჭა საერთაშორისო ბიზნესის ბაკალავრის აკადემიური ხარისხი, მენეჯერის კვალიფიკაცია.“

საერთაშორისო ბიზნესის ფაკულტეტის საბჭოს საატესტაციო სხდომის 2005 წლის 27 ივნისის შემაჯამებელი სხდომის (ოქმი №3) გადაწყვეტილებით ნანა პაკაცოშვილისთვის

მინიჭებული ბაკალავრის აკადემიური ხარისხი არ არის შესაბამისობაში თსუ რექტორის ბრძანებით (№4/711, 4.08.2005) მინიჭებულ ხარისხთან. გამომდინარე აღნიშნულიდან, თსუ რექტორის (№4/711, 4.08.2005) ბრძანების შესაბამისად უნდა შესწორდეს საერთაშორისო ბიზნესის ფაკულტეტის საერთაშორისო ბიზნესისა და საგარეო ვაჭრობის სპეციალობაში ფაკულტეტის საბჭოს საატესტაციო სხდომის 2005 წლის 27 ივნისის სხდომის შემაჯამებელი ოქმი და ნაცვლად მინიჭებული ხარისხისა „ბაკალავრის აკადემიური ხარისხი მენეჯერის კვალიფიკაციით“ კურსდამთავრებულებს უნდა მიენიჭოთ „საერთაშორისო ბიზნესის ბაკალავრის აკადემიური ხარისხი მენეჯერის კვალიფიკაციით“.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით აზრი არავის გამოუთქვამს.

გაიმართა კენჭისყრა
კენჭისყრის შედეგები: მომხრე – 21
წინააღმდეგი – 0

დაადგინეს:

1. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საერთშორისო ბიზნესის ფაკულტეტის საერთშორისო ბიზნესისა და საგარეო ვაჭრობის სპეციალობაში ფაკულტეტის საბჭოს საატესტაციო სხდომის (შემაჯამებელი ოქმი №3, 27.06.2005) გადაწყვეტილებით ნანა პაკაცოშვილის ნაცვლად მინიჭებული ხარისხისა „ბაკალავრის აკადემიური ხარისხი მენეჯერის კვალიფიკაციით“ მიენიჭოს „საერთაშორისო ბიზნესის ბაკალავრის აკადემიური ხარისხი მენეჯერის კვალიფიკაციით“.
2. აღნიშნული ცვლილება გავრცელდეს ოქმში მითითებულ ყველა კურსდამთავრებულზე *(იხ. საერთშორისო ბიზნესის ფაკულტეტის საერთშორისო ბიზნესისა და საგარეო ვაჭრობის სპეციალობაში ფაკულტეტის საბჭოს საატესტაციო სხდომის შემაჯამებელი ოქმი №3, 27.06.2005)* და მათ დიპლომებში ცვლილებები განცხორციელდეს ინდივიდუალური მომართვის შემთხვევაში.

3. ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ფაკულტეტის სასურსათო პროდუქციის ექსპერტიზის სპეციალობის 2007 წლის კურსდამთავრებულ სერგო ვაშაკიძისთვის მინიჭებული აკადემიური ხარისხის კორექტირების შესახებ.

ქ-მა ე. ხარაიშვილმა აღნიშნა, რომ ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურში შემოსულია სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფროსის ი. მშვენიერაძის წერილი (№4051/29, 21.04.2016). მასში აღნიშნულია, რომ სასწავლო

პროცესის მართვის დეპარტამენტმა მოითხოვა ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ბაკალავრიატის 2007 წლის კურსდამთავრებულ სერგო ვაშაკიძისთვის მინიჭებული აკადემიური ხარისხის საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 18 ნოემბრის №633 ბრძანებით დამტკიცებულ ბაკალავრიატის სპეცილაობათა ჩამონათვალთან შესაბამისობაში მოყვანა.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ჩატარდა ადმინისტრაციული საქმისწარმოება და თსუ-ს საარქივო მასალების საფუძველზე დადგინდა, რომ **სერგო თეიმურაზის ძე ვაშაკიძე** 2002 წელს მისაღები გამოცდების შედეგების საფუძველზე ჩაირიცხა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კომერციისა და მარკეტინგის ფაკულტეტის დასწრებული სწავლების სამრეწველო პროდუციის ექსპერტიზა და სერტიფიკაცია საერთაშორისო ვაჭრობაში სპეციალობაზე (ბრძანება №4/970, 02.08.2002). 2003 წლის 1 სექტემბრიდან გადაყვანილი იქნა კომერციისა და მარკეტინგის ფაკულტეტის „სასურსათო პროდუქციის ექსპერტიზა და სერტიფიკაცია საერთაშორისო ვაჭრობაში“ სპეციალობის დღის სწავლების II კურსზე განსხვავებული საგნების ჩაბარების უფლებით (ბრძანება №4/702, §4, 4.07.2003).

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის, პროფესორ რუსუდან ლორთქიფანიძის 2005 წლის 16 ივნისის №92 ბრძანებით ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტში გაერთიანდა ყოფილი ეკონომიკის, მიკროეკონომიკისა და მენეჯმენტის, კომერციისა და მარკეტინგის და საერთაშორისო ბიზნესის ფაკულტეტები ბიზნესის სამართლის მიმართულების გარეშე (ბრძანება №92, 16.06.2005).

2005-2006 სასწავლო წელს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის კვების პროდუქტების ექსპერტიზა და სერტიფიკაცია საერთაშორისო ვაჭრობის მიმართულების სპეციალობის დასწრებული სწავლების საბიუჯეტო სექტორის IV კურსის სტუდენტ სერგო ვაშაკიძეს მიეცა აკადემიური შვებულება გერმანიაში სასწავლებლად გამგზავრების გამო (ბრძანება №4/743, 15.09.2005), ხოლო 2006-2007 სასწავლო წლიდან აღუდგა სტუდენტის სტატუსი (ბრძანება №01-04/732, 15.09.2006).

ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის კურსდამთავრებულთათვის შესაბამისი აკადემიური ხარისხის მინიჭებისა და დიპლომის გაცემის შესახებ თსუ რექტორის 2007 წლის 14 სექტემბრის №849/01-04 ბრძანებით ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სასურსათო პროდუქციის ექსპერტიზის სპეციალობის 2007 წლის კურსდამთავრებულ სერგო ვაშაკიძეს მიენიჭა ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრის აკადემიური ხარისხი, ხარისხის მენეჯერის კვალიფიკაციით (ბრძანება №849/01-04, 14.09.2007 - საფუძველი: ფაკულტეტის დეკანის მოვალეობის შემსრულებლის წარდგინება №04/2/263, 4.09.2007).

2007-2008 სასწავლო წლის დიპლომების გაცემის სარეგისტარციო ჟურნალში დიპლომი B №004500 (სარეგისტრაციო № 004522) რეგისტრირებულია სერგო ვაშაკიძის სახელზე.

სერგო ვაშაკიძისთვის მინიჭებული კვალიფიკაცია არ შეესაბამება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 18 ნოემბრის №633 ბრძანებით

დამტკიცებული საქართველოს უმაღლესი განათლების ბაკალავრიატის სპეციალობათა ჩამონათვალში მითითებულ კვალიფიკაციას.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით აზრი არავის გამოუთქვამს.

გაიმართა კენჭისყრა

კენჭისყრის შედეგები: **მომხრე – 21**

წინააღმდეგი – 0

დაადგინეს:

1. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 18 ნოემბრის №633 ბრძანების შესაბამისად ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ბაკალავრიატის 2007 წლის კურსდამთავრებულ სერგო ვაშაკიძეს **„ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრის აკადემიური ხარისხის“** ნაცვლად მიენიჭოს **„ბიზნესის მართვის ბაკალავრის აკადემიური ხარისხი“**;

2. აღნიშნული ცვლილება განხორციელდეს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის კურსდამთავრებულთათვის შესაბამისი აკადემიური ხარისხის მინიჭებისა და დიპლომის გაცემის შესახებ თსუ რექტორის 2007 წლის 14 სექტემბრის №849/01-04 ბრძანებაში მითითებულ სასურსათო პროდუქციის ექსპერტიზის სპეციალობის 2007 წლის კურსდამთავრებულებზე და მათ დიპლომებში ცვლილება განხორციელდეს ინდივიდუალური მომართვის შემთხვევაში.

მოისმინეს: სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ,,ა“ კატეგორიის ასოცირებული პროფესორების თანამდებობრივ სარგოში ცვლილებების შეტანის შესახებ.

/მენეჯერი საფინანსო-ეკონომიკურ საკითხებში ა. მიქაბერიძე /

ბატონმა ა. მიქაბერიძემ საბჭოს წევრებს მოახსენა, რომ ამჟამად ,,ა“ კატეგორიის ასოცირებული პროფესორების თანამდებობრივი სარგო განისაზღვრება 2700 ლარით. წარმოდგენილი ცვლილების შედეგად ,,ა“ კატეგორიის ასოცირებული პროფესორის თანამდებობრივი სარგო განისაზღვროს 3000 ლარის ოდენობით, რისთვისაც საჭირო თანხა წლიურ ბიუჯეტში შეადგენს 169 200 ლარს. ამ გადაწყვეტილების შედეგად ფაკულტეტის ბიუჯეტის შესაბამის მუხლში შევიდეს ცვლილება.

აზრი გამოთქვეს: პროფ. თ. შენგელიამ, პროფ. ე. მექვაბიშვილმა, პროფ. ქ. მარშავამ, პროფ. ა. სილაგაძემ, პროფ. ნ. თოდუამ, ასოც. პროფ. ნ. პაიჭაძემ.

საკითხის განხილვის პროცესში დადგა მოთხოვნა, რომ მეორე ეტაპზე, ,,ა“ კატეგორიის ასისიტენტ-პროფესორების თანამდებობრივი სარგო განისაზღვროს 1860 ლარით;

კენჭსყრაზე დადგა საკითხი:

1. პირველ ეტაპზე ფაკულტეტის ,,ა“ კატეგორიის ასოცირებული პროფესორების თანამდებობრივი სარგო განისაზღვროს 3000 ლარით;
2. აღიძრას შუამდგომლობა აკადემიური საბჭოს წინაშე, მეორე ეტაპზე, ,,ა“ კატეგორიის ასისიტენტ-პროფესორების თანამდებობრივი სარგო განისაზღვროს 1860 ლარით.

გაიმართა კენჭისყრა
კენჭისყრის შედეგები: **მომხრე – 21**
წინააღმდეგი – 0

დაადგინეს:

ეთხოვოს თსუ აკადემიურ საბჭოს:

1. ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ,,ა“ კატეგორიის ასოცირებული პროფესორების თანამდებობრივი სარგო განისაზღვროს 3000 ლარით;
2. მეორე ეტაპზე, ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ,,ა“ კატეგორიის ასისიტენტ-პროფესორების თანამდებობრივი სარგო განისაზღვროს 1860 ლარით;
3. ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილის ზრდის გათვალისწინებით განხორციელდეს ბიუჯეტის შესაბამის მუხლში აღნიშნული ცვლილება.

მოისმინეს: თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის საშტატო განრიგში ცვლილების შეტანის შესახებ.

/მენეჯერი საფინანსო-ეკონომიკურ საკითხებში ა. მიქაბერიძე/

აღინიშნა, რომ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე შექმნილმა საბიუჯეტო კომისიამ განიხილა სამსახურის უფროსების თანამდებობრივ სარგოებში ცვლილებების შეტანის შესახებ, კერძოდ, სამსახურის უფროსების სახელფასო განაკვეთი გახდეს 1270 ლარი. აღნიშნული ცვლილება არ მოითხოვს ბიუჯეტის კორექტირებას.

აზრი გამოთქვეს: პროფ. თ. ბერიძემ, პროფ. ე. მექვაბიშვილმა, პროფ. ა. სილაგაძემ, ასოც. პროფ. ლ. საბაურმა.

კენჭსყრაზე დადგა საკითხი:

1. ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სამსახურის უფროსების თანამდებობრივი სარგო განისაზღვროს 1270 ლარის ოდენობით.

2. აღიძრას შუამდგომლობა რექტორის წინაშე, რათა შესაბამისი რეგულაციების დაცვით განხორციელდეს ცვლილება ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სამსახურის უფროსების თანამდებობრივ სარგში და განისაზღვროს 1270 ლარით.

გაიმართა კენჭისყრა

კენჭისყრის შედეგები: **მომხრე – 21**
წინააღმდეგი – 0

დაადგინეს:

1. ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სამსახურის უფროსების თანამდებობრივი სარგო განისაზღვროს 1270 ლარის ოდენობით;
2.აღიძრას შუამდგომლობა რექტორის წინაშე, რათა შესაბამისი რეგულაციების დაცვით განხორციელდეს ცვლილება ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სამსახურის უფროსების თანამდებობრივ სარგში და იგი განისაზღვროს 1270 ლარით;
3. ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილის ზრდის გათვალისწინებით განხორციელდეს ბიუჯეტის შესაბამის მუხლში აღნიშნული ცვლილება.

მოისმინეს: პროფესორ რევაზ გოგოხიასთვის ივ. ჯავახიშვილის მედლის მინიჭების შესახებ.

/თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანი თ. ბერიძე/

ფაკულტეტის დეკანმა, ბატონმა თ. ბერიძემ ხაზი გაუსვა პროფესორ რ. გოგოხიას ღვაწლს თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის წინაშე სამეცნიერო და პედაგოგიური მოღვაწეობის თვალსაზრისით და საბჭოს წინაშე დააყენა საკითხი პროფესორ რ. გოგოხიასთვის ივ. ჯავახიშვილის მედლის მინიჭების შესახებ.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით აზრი არავის გამოუთქვამს.

გაიმართა კენჭისყრა

კენჭისყრის შედეგები: **მომხრე – 21**

წინააღმდეგი – 0

დაადგინეს:

1. მიენიჭოს პროფესორ რევაზ გოგოხიას ივ. ჯავახიშვილის მედალი.
2. ეთხოვოს შუამდგომლობა თსუ აკადემიური საბჭოს აღნიშნული საკითხის დასამტკიცებლად.

თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის
საბჭოს თავმჯდომარე თ. ბერიძე

თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის
საბჭოს სწავლული მდივანი მ. ნაცვალაძე